საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №39
2025 წლის 27 მაისი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით (სსმ, №14, 01/02/2007, 310.150.000.22.034.009.916) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8. თუ დაინტერესებული პირები სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისას არ იმყოფებიან სააგენტოს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების“ 14^2 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილია სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის საფუძველზე დამზადებული სარეგისტრაციო მოწმობა და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) გადასცეს პირს, რომელსაც რეგისტრირებული მესაკუთრე/მოსარგებლე/დეკლარანტი, აღნიშნული რეგისტრაციის განხორციელების პროცესში, მიუთითებს სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ხელმოწერილ განცხადებაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**